გეოგრაფია

I დავალება – არჩევითბოლოიანი კითხვა

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი ან ხუთი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. (1) რომელი სასარგებლო წიაღისეულის უმსხვილესი მომპოვებელი იყო საქართველო XX საუკუნის დასაწყისში?

ა. ქვანახშირის
ბ. მანგანუმის
გ. მარმარილოს
დ. კირქვის

<u>სწორი პასუხია – ბ</u>

2. (1) რომელი მთებია აღნიშნული ევროპის კონტურულ რუკაზე ლათინური ასოთი – C ?

ა. ბალკანები
ბ. ალპები
გ. პირენეები
დ. სკანდინავიის
ე. კარპატები



<u>სწორი პასუხია – დ</u>

II დავალება – შესაბამისობების პოვნა

ინსტრუქცია:

დაადგინეთ შესაბამისობა კითხვის ორ სვეტში მოცემულ ინფორმაციას შორის. თითოეული დავალება მაქსიმუმ 4 ქულით ფასდება.

3. (4) დაადგინეთ შესაბამისობა ბუნებრივ პირობებსა და რეგიონებს შორის.

A. მხარის მთავარ ჰიდროგრაფიულ არტერიას მდ. არაგვი წარმოადგენს

B. მხარის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მცირე კავკასიონის ფარგლებშია განთავსებული

C. მხარის ტერიტორიის დიდ ნაწილს კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული ტერიტორიები შეადგენს

D. მხარის ერთ-ერთი მთავარი ოროგრაფიული ერთეულია ივრის ზეგანი

1. გურია
2. შიდა ქართლი
3. კახეთი
4. რაჭა
5. მცხეთა-მთიანეთი
6. სამცხე-ჯავახეთი

<u>სწორი პასუხებია:</u>

	1	2	3	4	5	6
A					**X**	
B						**X**
C	**X**					
D			**X**			

III დავალება – მრავალწერტილის შევსება

ინსტრუქცია
ტექსტში გამოტოვებული სიტყვების ან ციფრების ნაცვლად ჩაწერეთ სწორი პასუხები. თითოეული გამოტოვებული ადგილი დანომრილია (1, 2, 3). თითოეული სწორი პასუხი 1 ქულით ფასდება. დავალების მაქსიმალური ქულაა – 3.

3. (3) გამოტოვებული ადგილების ნაცვლად ჩაწერეთ სწორი პასუხები.

თბილისი მდებარეობს საქართველოს (1). . . . . ნაწილში, მისივე სახელწოდების (2). . . . . თბილისს მდინარე მტკვარი (3). . . . . კილომეტრის მანძილზე მიუყვება.

სავარაუდო პასუხები:

სამხრეთ-აღმოსავლეთი; 35; ქვაბული; 15; აღმოსავლეთი; პლატო; ჩრდილო-აღმოსავლეთი; 55; ხეობა.

<u>სწორი პასუხებია:</u>

№	სწორი პასუხები
1.	სამხრეთ-აღმოსავლეთ
2.	ქვაბულში
3.	35

IV დავალება – შეცდომის აღმოჩენა და გასწორება რუკაზე

ინსტრუქცია
დავალებაში მოცემულია კონტურული რუკა, რომელზეც გარკვეული ინფორმაცია შეცდომითაა დატანილი. იპოვეთ და გამოასწორეთ შეცდომები.

- <u>**დავალების აღწერა და ინსტრუქცია**</u> – პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში აბიტურიენტმა შესაბამის სვეტებში უნდა ჩაწეროს შეცდომებიც და სწორი ვარიანტებიც.

4. (6) გამოასწორეთ აფრიკის კონტურულ რუკაზე დაშვებული 3 შეცდომა.

შეცდომით არის დატანილი	უნდა იყოს დატანილი
დრაკონის მთები	ატლასის მთები
ჩადის ტბა	ტანგანიკის ტბა
მდ. ლუალაბა	მდ. ზამბეზი